სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/94

ქ. თბილისი

28 ივნისი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის №MES 9 23 0000625493 ბრძანების, სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის მოადგილის მოხსენებითი ბარათის, საარჩევნო №1 ოქმის (21.06.2023), საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ივნისის №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2023 წლის 21 ივნისის სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლაში ჩატარებული არჩევნების შედეგების საფუძველზე ცნობილ იქნეს ახლადარჩეული წევრების- პროფესორ **ალექსანდრე ნონეშვილის** და ასოცირებული პროფესორ **ლაშა ქობულიას** უფლებამოსილება 4 წლის ვადით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**